საჯარო სამართლის იურიდიული პირი _

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-02/132

20 აგვისტო, 2021 წელი ქ. ბათუმი

ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე 2021-2022 სასწავლო წლისათვის მიღების გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე-13 მუხლის, **საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის N227** ბრძანებით დამტკიცებული **,,სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა** და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის“, „ბსუ-ს მაგისტრატურაში მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 07 ივლისის №59 დადგენილების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. 2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის გამოცხადდეს მიღება ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე **დანართი №1**-ის შესაბამისად.
2. მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაცია განხორციელდეს მაგისტრატურაში მიმღებ კომისიაში, 2021 წლის 30 აგვისტოდან 3 სექტემბრის ჩათვლით, ყოველდღე, 10:00 საათიდან 17:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, რუსთაველის ქუჩა N32, II კორპუსი, ოთახი №131.
3. მაგისტრანტობის კანდიდატმა რეგისტრაციისათვის უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება **(შევსებული № 2 დანართის შესაბამისად);**

ბ) პირადობის მოწმობის/პასპორტის ასლი;

გ) ერთიანი სამაგისტრო საგამოცდო-საიდენტიფიკაციო ბარათი;

დ) ბაკალავრის (ან მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის (თანდართული დანართით) ნოტარიულად დამოწმებული ასლი (ბსუ-ს კურსდამთავრებულთათვის - ბსუ-ს მიერ დამოწმებული, ხოლო 2021 წელს კურსდამთავრებულთათვის - ცნობა აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე), უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) ორი ფოტოსურათი, ზომით 3X4–ზე, ელექტრონული ვერსია CD დისკზე;

ვ) წვევამდელის სამხედრო-სააღრიცხვო მოწმობის ასლი (ან სამხედრო ბილეთი, ასეთის არსებობის შემთხვევაში).

თ) სხვა დოკუმენტი, თუკი ითვალისწინებს შესაბამისი სამაგისტრო პროგრამა.

4. მაგისტრატურაში მისაღები გამოცდები ჩატარდეს დისტანციურად, ZOOM-ის პლატფორმის გამოყენებით, შემდეგი განრიგით:

4.1. **მისაღები გამოცდა უცხო ენაში** - 2021 წლის 8 სექტემბერი (დაწყების დრო: I ცვლა - 10^{00} საათი, II ცვლა - 14^{00} საათი; III ცვლა- 17^{00} საათი);
4.1.1. გამოცდის შედეგების გამოცხადება- 2021 წლის 9 სექტემბერი;
4.1.2. საპრეტენზიო განცხადებების მიღება - 2021 წლის 10 სექტემბერი 10^{00} დან 16^{00} მდე, ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) მეშვეობით;
4.1.3. საპრეტენზიო განცხადებებზე პასუხის მომზადება - 2021 წლის 13 სექტემბერს (ეცნობება კონკურსანტს, მის მიერ სარეგისტრაციო განცხადებაში მითითებულ ელექტრონულ მისამართზე).
4.2. **მისაღები გამოცდა სპეციალობაში** - 2021 წლის 14 სექტემბერი (გამოცდის დაწყების დრო: I ცვლა - 10^{00} საათი, II ცვლა - 14^{00} საათი; III ცვლა- 17^{00} საათი):
4.2.1. გამოცდის შედეგების გამოცხადება - 2021 წლის 15 სექტემბერი;
4.2.2. საპრეტენზიო განცხადებების მიღება - 2021 წლის 16 სექტემბერი, 10^{00} დან 16^{00} მდე, ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) მეშვეობით;
4.2.3. საპრეტენზიო განცხადებებზე პასუხის მომზადება - 2021 წლის 17 სექტემბერს (ეცნობება კონკურსანტს, მის მიერ სარეგისტრაციო განცხადებაში მითითებულ ელექტრონულ მისამართზე).

5. გამოცდებზე დასასწრებად მაგისტრანტობის კანდიდატმა უნდა იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან პასპორტი (დაგვიანებული პირი გამოცდაზე არ დაიშვება).
6. გამოცდების საბოლოო შედეგები გამოქვეყნდეს 2021 წლის 20 სექტემბერს, ბსუ-ს ვებგვერდზე და ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურთან (კანცელარია) არსებულ საინფორმაციო დაფაზე.
7. შეიქმნას მაგისტრატურაში მიმღები კომისია **№3 დანართის** შესაბამისად.
8. სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლების მქონე მაგისტრანტობის კანდიდატებთან ხელშეკრულებები გაფორმდეს 2021 წლის 21, 22, 23 სექტემბერს, 10 საათიდან 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქუჩა N32/35 (კორპუსის და ოთახის ნომრის შესახებ ინფორმაცია განთავსდეს გამოცდის საბოლოო შედეგებთან ერთად).
9. ბსუ-ს სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება გამოიცეს 2021 წლის 27 სექტემბერს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე.
10. დაევალოს ბსუ-ს ფაკულტეტების დეკანებს მაგისტრატურაში მისაღებ გამოცდების თემატიკა განათავსონ უნივერსიტეტის ვებგვერდზე, არაუგვიანეს 2021 წლის 27 აგვისტოსა.
11. დაევალოს ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) განათავსოს ბრძანება ამავე სამსახურთან არსებულ საინფორმაციო დაფაზე.
12. დაევალოს სასწავლო პროცესის დეპარტამენტს ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების გამოცხადების შესახებ განცხადების მომზადება და ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსებისათვის წარმოდგენა.
13. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს ბრძანება და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების გამოცხადების შესახებ განაცხადი განათავსოს ბსუ-ს ვებგვერდზე.
14. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (რექტორის მოადგილეს, ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და

სპორტის დეპარტამენტს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს).

15. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

16. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. № 30.) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი *მერაბ ხალვაში*

დანართი 1

#	საგანმანათლებლო პროგრამა	ფაკულტეტი	ადგილების რაოდენობა
1.	ლინგვისტიკა	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი	10
2.	ლიტერატურის თეორია და ქართული ლიტერატურათმცოდნეობა	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი	5
3.	ევროპეისტიკა	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი	15
4.	ისტორია	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი	5
5.	შავიზღვისპირეთისა და კავკასიის არქეოლოგია	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი	5
6.	განათლების ადმინისტრირება	ზუსტმეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი	15
7.	პროფესიული განათლება და ადამიანური რესურსების განვითარება	ზუსტმეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი	15
8.	მათემატიკა	ზუსტმეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი	5
9.	რადიოფიზიკა	ზუსტმეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი	5
10.	ბიზნეს ინფორმატიკა	ზუსტმეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი	10
11.	ბიოლოგია	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი	10
12.	ქიმია	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი	5
13.	ფიზიკური გეოგრაფია, ნიადაგური რესურსები და გარემოს მდგრადი განვითარება	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი	5
14.	ეკოლოგია	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი	10
15.	სამართალი	იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი	30
16.	ბიზნესის ადმინისტრირება	ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი	30
17.	ეკონომიკა	ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი	20
18.	ფინანსები და საბანკო საქმე	ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი	30
19.	კლინიკური ფსიქოლოგია	იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი	20
20.	ტურიზმის მენეჯმენტი	ტურიზმის ფაკულტეტი	25
21.	სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა	ტექნოლოგიური ფაკულტეტი	15
22.	ტელეკომუნიკაცია	ტექნოლოგიური ფაკულტეტი	5
23.	ნავთობისა და გაზის მოპოვების, ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნიკა და ტექნოლოგიები	ტექნოლოგიური ფაკულტეტი	5

№2 დანართი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი-
ბათუმის შოთა რუსთველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორს,

(მაგისტრანტობის კანდიდატის სახელი,
გვარი)

ფაქტიური მისამართი ----------

რეგისტრაციის მისამართი: ----------

პირადი ნომერი: ----------

ტელ: ---------- (ბინა, მობილური)

ელ. ფოსტა: ----------

განცხადება

მსურს მონაწილეობა მივიღო ბსუ-ს მაგისტრატურაში მისაღებ გამოცდებში ----------
---
----------ფაკულტეტის ----------
---------- საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის
მიზნით.

უცხო ენის გამოცდა - ----------

დამატებით გაცნობებთ, რომ საერთო სამაგისტრო გამოცდაზე ჩაბარებული მაქვს -----
---ტიპის ტესტი.

დანართი - ------- ფურცელი.

განმცხადებელი:

------- ----------, 2021 წელი.

№3 დანართი

მაგისტრატურაში მიმღები კომისია

1. მერაბ დიასამიძე - სასწავლო პროცესის დეპარტამენტის უფროსი (თავმჯდომარე);
2. ირმა ქერქაძე - სასწავლო პროცესის დეპარტამენტის დიპლომების გაცემისა და რეესტრის სამსახურის უფროსი;
3. ხათუნა გამყრელიძე - სასწავლო პროცესის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი - წევრი;
4. მარიამ ბოლქვაძე - სასწავლო პროცესის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი - წევრი;
5. მაია თურმანიძე - სასწავლო პროცესის დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი - წევრი;
6. თინათინ ჭიჭვეიშვილი -სასწავლო პროცესის დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი - წევრი;
7. გვანცა დიასამიძე - დიპლომების გაცემისა და რეესტრის სამსახურის წამყვანი სპეციალისტი - წევრი;